იენის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის IV-VI სემესტრის სტუდენტებისთვის (2012/2013)

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2012/2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ფრიდრიჰ–შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ერთწლიანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის IV-VI სემესტრის სტუდენტებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- CV გერმანულ ან ინგლისურ ენაზე
- მოტივაცია ქართულ ენაზე
- ერთი რეკომენდაცია ქართულ ენაზე
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან ქართულ ენაზე
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)
- ბაკალავრიატში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- პასპორტის ასლი

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე); II ეტაპი – გასაუბრება
კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება სავარაუდოდ 2012 წლის 6 აპრილს

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 02 აპრილის 12 საათი</u>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ **ირინა გამყრელიძეს** საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ აგრეთვე მიმართოთ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეს - **თამარ გიორგობიანს** (თსუ VI კორპუსი, მეოთხე სართული, ოთახი 401)

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.250212